

სინერგია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს შორის

არსებული მდგომარეობა და მომავალი განვითარების გეგმები

ლალი შაიშმელაშვილი
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო - სამუშაო შეხვედრა, თბილისი, **28-29 მარტი, 2019**

ზოგადი განათლების არსებული სისტემა

- სრული ზოგადი განათლება მოიცავს 12 წელს, ხორცილდება 3 საფეხურზე:
- დაწყებითი განათლება - I-VI კლასები. პირველ კლასში შესვლის ასაკი - 6 წელი.
- საბაზო განათლება მოიცავს 3 წელს, ხორციელდება VII-IX კლასებში და დასტურდება საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით - ატესტატით;
- საშუალო განათლება მოიცავს 3 წელს, ხორციელდება X-XII კლასებში და დასტურდება სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით - ატესტატით.
- დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა.

საგანმანათლებლო პროგრამები

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

ეროვნული სასწავლო გეგმა

სასკოლო სასწავლო გეგმა

ზოგადი განათლების მიღება შესაძლებელია საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. 2019 წლის თებერვლის თვის მონაცემებით საქართველოში ფუნქციონირებს 2085 საჯარო და 228 კერძო სკოლა.

ზოგადი განათლების მიღების ალტერნატიული გზები

ექსტერნატი – იმ პირის მიერ ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მიღების წესი, რომელმაც დამოუკიდებლად აითვისა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები

- ექსტერნატის პირობები განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმით
- ყველა მოსწავლეს ზოგადი განათლების მიღება შეუძლია ექსტერნატის ფორმით, ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის დაძლევისა და სკოლის გამოსაშვები გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში.
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს უფლება აქვს ჩაირიცხოს სკოლაში ან გააგრძელოს სწავლა ექსტერნატის ფორმით, გამოცდების ჩაბარების გარეშე, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე, ასაკის შესაბამის საფეხურზე, შესაბამის კლასში ან მაქსიმუმ ორი კლასის ქვემოთ.

ზოგადი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩო - მეორე დონე

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეორე დონე აღწერს ზოგადი განათლების საბაზო საფეხურს.

- ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საბაზო საფეხურის ძირითადი ამოცანებია:
 - ✓ დაეხმაროს მოსწავლეს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში;
 - ✓ შეუქმნას მოსწავლეს პირობები იმ უნარ-ჩვევების გასავითარებლად, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთელი ცხოვრების განმავლობაში;
 - ✓ შეუქმნას მოსწავლეს წინაპირობა სწავლის გასაგრძელებლად, ან შრომით ბაზარზე სწორი არჩევანის გასაკეთებლად.

ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოში მეორე დონის სწავლის შედეგები

- სტრუქტურირებულ, უცვლელ გარემოში სწავლა ან/და რუტინული დავალების შესრულება ხელმძღვანელობით და დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით;
- საკუთარი საქმიანობის შეფასება;
- საკუთარ საქმიანობასა და სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.

გაიცემა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის გავლის
დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი

ზოგადი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩო - მეოთხე დონე

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეოთხე დონე აღწერს სრული ზოგადი განათლების სწავლის შედეგებს.

ეროვნულ სასწავლო გეგმის თანახმად, საშუალო საფეხურის ძირითადი ამოცანებია:

- ✓ შეუქმნას მოსწავლეს პირობები თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი განათლების მისაღებად;
- ✓ დაეხმაროს მოსწავლეს მომავალი არჩევანის გასაკეთებლად (სწავლის გასაგრძელებლად და/ან შრომით საქმიანობაში ჩასაბმელად);
- ✓ მისცეს მოსწავლეს ხარისხიანი სრული ზოგადი განათლება.

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში მეოთხე დონის სწავლის შედეგები

- პროგნოზირებად, მაგრამ ცვალებად გარემოში საკუთარი საქმიანობის ან სწავლის მართვა სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინებით.
- ერთგვაროვანი სამუშაო პროცესის ზედამხედველობა;
- სამუშაო და სასწავლო აქტივობების შეფასებასა და გაუმჯობესებაზე გარკვეული პასუხისმგებლობის აღება.
- დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით საკუთარი პროფესიული განვითარების შეფასება და სწავლა.

გაიცემა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი

ზოგადი განათლების კვალიფიკაციების ხარისხის უზრუნველყოფა

- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის უფლების მოპოვება ხდება ავტორიზაციის გზით.
- ავტორიზაციის სტანდარტებია:
 - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები
 - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი
 - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი
- ავტორიზაცია ენიჭება 6 წლის ვადით.
- დაწესებულება ვალდებულია, მუდმივად განახორციელოს თვითშეფასება, ხოლო თვითშეფასების ანგარიში ცენტრში წარმოადგინოს მინიმუმ 3 წელიწადში ერთხელ.
- ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით ცენტრი უფლებამოსილია განახორციელოს დაწესებულებების მონიტორინგი.

გამოწვევები

- პროფესიული განათლების კომპონენტის აქტიურად შეტანა ზოგად განათლებაში;
- ზოგადი განათლების კომპონენტის შეტანა პროფესიულ განათლებაში;
- ზოგადი განათლების საფეხურების გადახედვა, კონკრეტულად, საბაზო საფეხურის მისაღწევი შედეგების განხილვა;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის განახლება და დანერგვა.